

მ. გ. ბ ა ჭ ე ბ ი ვ ი

ქ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ი ლ ა
ა ნ ტ ი შ რ ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი

ტ ფ ი ლ ი ს ი

ს ა ხ ე დ ა შ ი შ ი გ ა მ ა გ ა შ ი შ ი გ ა

1933



13. 3. ১৯৭৬ মা

კლასიკური ბრძოლა

ანტიურ პერიოდი

ସାହୁଶିଳ୍ପୀଙ୍କରିତ ଯୋଗଦାନରେ ଉପରେ

21249



Ozone

୬୧୬୦୯୩୩୮୦୭୩ ଶୁଭମାତ୍ରାଜୀନ୍ଦ୍ରା

1933

სახელგამის 1-ლი სტამბა
პლენანოვის გამზირი № 91.
მთავლ. რწმ. № 1 — 481
შეკვ. № 1004. ტირაჟი 4000..

შესავალი

საბჭოთა მკითხველების ფართო მასა სუსტად იცნობს ანტიურ ქვეყანას. ეს აიხსნება მთელი რიგი მიზეზებით: ჯერ ერთი, დრო ძალაზე შორეულია თანამედროვებისათვის, მეორე, ის რომ კაცობრიობის ისტორიის ამ ეპოქის ლიტერატურა ვერაფერს აძლევს მკითხველს, რომელსაც უდროობის გამო საწუალება არ აქვს ღრმა, სპეციალური შუშაობა აწარმოოს ამ საკითხზე.

მართალია, ბურუუაზიული ისტორიის მეცნიერება დიდ დროს ანდომებდა და ეხლაც დიდი ყურადღებით ეპყრობა ანტინის ისტორიის შესწავლას. ამის წყალობით ჩვენ მოგვეპოვ რი ქვეყნის შესახებ დიდი რაოდენობა მრავალი სახის ლრისა, დაწყებული სკოლის სახელმძღვანელოებიდან გათავს მოდენიმე ათასფურცლიან კაპიტალური შრომებით, მა დურება იმაშია, რომ მთელ ამ ლიტერატურას, გავსებულს ფაქტების დაუსრულებელი სერიით, არ შეუძლია მოგვცეს მთავარი რამ— ანტიური (მონათფლობელური) საზოგადოების წარმოშობის, განვითარების და დაცემის ძირითადი კანონები. რაც შეეხება თანამედროვე შრომებს, რომელიც იწერება საზოგადოებრივ ფორმაციათა ისტორიაზე, მათში ან სულ არაფერია თქმული ამ საკითხის შესახებ, ან თუ არის, რამოდენიმე არაფრისმოქმედი ფრაზა.

ამ ბროშურის ამოცანაა, არ შეჩერდეს ისტორიის ფაქტების უბრალო აღწერაზე, არამედ მოგვცეს მონათფლობელური საზოგადოების განვითარების ნარკვევი და კლასთა ბრძოლის კონკრეტული მაგალითებით გამოარკვიოს ძირითადი ფაზისი მისი წარმოშობის, განვითარების და დაცემისა.

თავი პირველი

ხმელთაშუა ზღვის აუზი ისეთ მხარეს წარმოადგენდა, სადაც ანტიურმა საზოგადოებამ განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. აქ წარმოიშვენ და განვითარდე ბრწყინვალე მონათფლობელური სახელმწიფოები, რომელთა შორის ყველაზე უფრო თვალსაჩინო ათენი იყო, შემდეგში მაკედონია ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, კართაგინი ჩრდილო აფრიკაში და რომი აპენინის ნახევარკუნძულზე, რომელმაც თავის განვითარების უძლიერეს ეტაპზე დაიმორჩილა მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზი და უახლოესი ქვეყნები შოტლანდიიდან მესოპოტამიამდე.

ეხლა შევეცადოთ რაც შეიძლება მეტი ყურადღებით გადავხედოთ პროცესს მონათფლობელურ საზოგადოების წარმოშობის, განვითარების და დაცემისას.

პირველი ცნობები, რომელიც ჩვენ მოგვეპოება ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურის შესახებ მონათფლობელურ მეურნეობის წარმოშობის წინა პერიოდში, გვამცნობს რომ იქ არსებობდა პატრიარქალურ-საგვარეულო თემური წყობა. იგი უკვი დაშლის პერიოდში იმყოფებოდა. ტრიანი თემური ორგანიზაცია დაიშალა.

ამ უკანასკნელიდან წარმოიშვა ორი კლასი: ერთი მხრივ ეკონომიურად ძლიერი მიწათფლობელნი, რომელთა ხელშიც დაგროვილი იყო დიდი რაოდენობა მატერიალური შესაძლებლობის, რის გამოც ისინი თანდათანობით იხვეჭდენ პოლიტიკურ ძალაუფლებას, რომელიც ადრე თემს ექუთნოდა, მეორე მხრივ — უძლური გლეხობის მასა დამოკიდებული პირველზე. პოემები „ილიადა“ და „ოდისეა“, ძველი საბერძნეთის ეპოსი¹⁾, გვიხატავს ნათელ სურათს თემის დაშლის ნიადაგზე წარმოშობილ ეკონომიურ და პოლიტიკურ უთანასწოროებისას. ფეოდალიზმის ჩასახვას პატრიარქალურ-საგვარეულო თემის დაშლა დაედო საფუძვლად.

„ილიადა“ს და „ოდისეი“ს „კეთილშობილ ღვთისნიერ“ პრძანებელთა მეურნეობა ძალზე გვაგონებს საშუალო საუკუნეების ციხე-კოშკების ნატურალურ სახარკო მეურნეობას, ისე როგორც თვით გმირები ძალზე გვანან საშუალო საუკუნეების ფეოდალ-რაინდებს. სამარ-

¹⁾ პაემებში მოცემულია ძველი საბერძნეთის ზნე-ჩვეულებები.

თლიანად უწოდებენ ზოგიერთები ამ ხანას ანტიურ საშუალო საუკუნეს. საბერძნეთი, მართლაც მიღიოდა გაფეოდალების გზით, მიუხედავათ ამისა ფეოდალიზმის დასრულებული სახე ანტიურ ქვეყანას არ ცოდნია. გაფეოდალების პროცესი შეწყდა და ფეოდალურ საზოგადოების ნაცვლად წარმოიშვა მონათფლობელური საზოგადოება; კარჩაკეტილ ნატურალურ მეურნეობის მაგივრად ინტენსიური ვაჭრობა განვითარდა, ნახევრადდამოუკიდებელ გლეხობის წვრილ დაქუცმაცებულ მეურნეობის მაგივრად წარმოიშვა დიდი ძლიერი მეურნეობა ბაზრისთვის მომუშავე მონების ლატიფუნდიებისა (მსხვილი მამული); ციხე-კოშების მახლობელ პატარა მოსახლეობის ნაცვლად გაშენდა უზარმაზარი ქალაქები ზოგჯერ ასეული ათასი მცხოვრებით. წარმოიშვა ბრწყინვალე ანტიური კულტურა, აზროვნება და მეცნიერება, რომელსაც საშუალო საუკუნეთა უკანასკნელი წლების ხელოვნება და მეცნიერებაც ვერ შეედრება.

რით უნდა აგხსნათ ასეთი ცვლილება?

ხმელთაშუა ზლვის აუზის აღმოსავლეთით, ტიგრისა და ეფრატის შუა, გადაჭიმულია ფართო მხარე მესოპოტამიად წოდებული. მშვენიერმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და ისტორიული პირობების თავისებურობამ ხელი შეუწყო საწარმოო ძალთა მწრაფლ განვითარებას ამ მხარეში. აქ ძალიან აღრე წარმოიშვა შრომის საზოგადოებრივი განაწილება, ძალიან აღრე მოხდა საზოგადოების გათიშვა მოწინააღმდეგე კლასებათ, ცალკეულ პიროვნებების ხელში თავი მოიყარა დიდძალმა ქონებამ, რომელთაც საშუალება ქონდათ ეწარმოებიათ ინტენსიური გაცვლა-გამოცვლა.

ორი ათასი წლის წინად ჩვენს ერამდე ბაბილონი (ქრთ-ერთი სახელმწიფოა, რომელიც მესოპოტამიის ტერიტორიაზე წარმოიშვა) იყო მხარე დიდი ვაჭრობის. სავაჭრო კაპიტალს, რომელიც წარმოიშვა და განვითარდა მესოპოტამიაში და რომელიც უდიდეს ეკონომიურ ძალად იქცა, არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა მეზობელ ქვეყნებზე, გავლენა სოციალ-ეკონომიური განვითარების დონის მიხედვით. ჯერ კიდევ X-XII საუკუნით აღრე ჩვენს ერამდე, აღმოსავლეთის სავაჭრო კაპიტალი, ხმელთაშუა ზლვის სანაპიროებზე, სირიაში განმტკიცდა. ხმელთაშუა ზლვის აუზი თავისი გეოგრაფიული პირობებით — შეჭრილ-გამოჭრილი ნაპირით, კუნძულების დიდი რაოდენობით, დიდძალი მოხერხებული ნავთსადგურით, კლიმატიური პირობების მრავალგვარობით — ხელსაყრელი პირობა იყო სავაჭრო კაპიტალის განვითარებისათვის, რომელსაც შეძლო ესარგებლა ზლვით, როგორც საუკეთესო სატრანსპორტო საშუალებით და ფართო გასაქანი მიეცა თავის მოქმედებისათვის.

პირველობა ხმელთაშუა ზღვის ვაჭრობაში მე-X და მე-VIII საუკუნეებდე ფინიკელების ხელთ იყო, რომლებიც სირიისა და პალესტინის ნაპირებზე ბინადრობდენ, მე-VIII საუკუნიდან ვაჭრობის ფერხულში ებმებიან ბერძნები, რომლებიც მცირე აზიის ნაპირებსა და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ცხოვრობდენ. ფინიკელებისა და ბერძნების სავაჭრო კოლონიებმა თანდათან მოიცვეს ხმელთაშუა ზღვის აუზის მთელი სანაპიროები დონის სათავიდან გიბრალტარის სრუტემდე. ხმელთაშუა ზღვა კერა გახდა გაცხარებული ვაჭრობის. მაგრამ რა სახის იყო ეს ვაჭრობა?

ვაჭრობა ზედმეტი საქონლის არსებობას გულისხმობს, რომელიც აღემატება პროდუქტის რაოდენობას დახარჯულს უშუალო მწარმოებელზე (გლეხი იქნება ის, მესაქონლე თუ ხელოსანი) დახარჯული ენერგიის აღსაღვენად. სწორედ ასეთი ზედმეტი პროდუქტი არ გააჩნდათ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების მცხოვრებლებს. დიდი რაოდენობა წვრილ მიწათმომქმედთა ნატურალურ მეურნეობის პირობებში ცხოვრობდა და არავითარ შრომის განაწილებას იქ ადგილი არ ჰქონდა. ის მცირეოდენი ზედმეტი რამ, რომელიც მათ შეიძლება დარჩინოდათ, მსხვილ მიწათფლობელებისა და არისტოკრატების ხელში მიდიოდა, ეს უკანასკნელნი კი იმორჩილებდენ მათ ეკონომიურად და პოლიტიკურად.

მაგრამ არც ამ ახლადჩასახულ მიწის მეპატრონე არისტოკრატიას გააჩნდა მუდმივ გაცვლა-გამოცვლისათვის ზედმეტი საქონელი. ის, რასაც იგი ღებულობდა თავის მეურნეობისაგან და მასზე დამოკიდებულ გლეხობისაგან, მხოლოდ და მხოლოდ მის პირად მოთხოვნილებას თუ დააკმაყოფილებდა. რა თქმა უნდა ზოგჯერ შეიძლებოდა რაიმეს გაყიდვა, მაგრამ ეს სრულიად არ ქმაროდა რეგულარულ და ინტენსიურ ვაჭრობისათვის, რომელსაც ადგილი ქონდა ხმელთაშუა ზღვის მხარეში.

მარქსი თავის დროზე აღნიშნავდა, რომ სავაჭრო კაპიტალი ყველა ქვეყნის მეურნეობას ეგუება თუ გაუჯდა მას ძვალსა და რბილშიო.

მაშასაღამე, სავაჭრო კაპიტალს უნდა მოენახა საქონლის ახალი წყაროები. ასევე მოხდა. აქაც (თუ პროდუქტი ვერ იქცა საქონლად შრომის საზოგადოებრივ განაწილების საფუძველზე, აშკარა ძალადობის გზით იგი მაინც იქცა საქონლად) სავაჭრო ბრუნვაში მოექცა არა ზედმეტი პროდუქტი, შექმნილი უშუალო მწარმოებლის მიერ, არამედ ის აუცილებელი ნაწილი პროდუქტისა, რომელიც საჭირო იყო უშუალო მწარმოებლის ენერგიის აღსაღვენად. ასე ამგვარად წარმოიშვა და დაიწყო განვითარება სავაჭრო კაპიტალშა ხმელთაშუა ზღვის აუზში. არა ეკონომიური განვითარების გზით, არამედ აშკარა ცარცვა-

გლეჯით ვითარდებოდა გაჭრობის პირველი ნაბიჯები ხმელთაშუა ზღვის მხარეში.

პირველი გაჭრები უფრო ზღვის ყაჩალები იყვნენ, ვიდრე გაჭრები. „ილიადა“ში და „იდისეა“ში მოცემული მთელი რიგი ფაქტები ცხადყოფენ ყაჩალ-გაჭრების მიერ ჩადენილ ცარცვა-გლეჯას. აშერა ცარცვა არც შემდეგში გადის სცენიდან, მხოლოდ უფრო ორგანიზაციულ და ფართო ხასიათს ღებულობს. მაგალითად: მე-VII საუკუნეში კუნძულ სამოსის ფლოტი, რომელიც იმ დროის დიდ საზღვაო ძლიერებას წარმოადგენდა, თავისი ყაჩალური თავდასხმებით თავზარს სცემდა ყველა ახლობელ ზღვებს.

ათინელების მიერ პელოპონესის ომის¹⁾ დროს (მე VI-საუკუნის დასასრულს და მე-V საუკუნის დასაწყისს ჩვენს ერამდე) შემოლებული იქნა მათ წინააღმდეგ აჯანყებულ მოკავშირე ქალაქების მცხოვრებთა მასიური გაყიდვა მონებად, ქონების სრული კონფისკაციით. სამხედრო ნადავლი დიდ როლს თამაშობდა რომის ოქსპუბლიკების სამეურნეო ცხოვრებაში მთელი მისი არსებობის გასწვრივ. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეკონომიური გათიშვა მხოლოდ ომისაგან და ძალადობისაგან გამოწვეულ ცარცვა-გლეჯაში გამოიხატებოდეს. პირიქით ბოლოს მან მშვიდობიანი და ინტენსიური ხასიათი მიიღო.

დაბყრობილი მხარე დაბეგრილი იქნა დიდი გადასახადებით, რომელსაც შეუბრალებლად აგლეჯდენ დამორჩილებულ მცხოვრებლებს. მართალია, მხარე სრულიად იფიტებოდა ისევე როგორც ომის დროს, მაგრამ მისი გამოყენება შეიძლებოდა საკმაოდ დიდ ხანს და უფრო მეტი სარგებლით ცარცვა-გლეჯის გზით. გარდა ამისა, ერთ-ერთ მიზეზად ხმელთაშუა ზღვის აუზში სავაჭრო კაპიტალის შეჭრისა, უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მიწის არისტროკრატიის გაბატონებული კლასი, თუ უწინ მასზე დამოკიდებული მოსახლეობისა-გან პროდუქტის ზედმეტი ნაწილით ქმაყოფილდებოდა და უტოვებდა შათ გამოკვებისათვის და მეურნეობის საჭიროებისათვის აუცილებელ რაოდენობას, ეხლა შეუბრალებელ ექსპლოატაციას ეწევა და არამც თუ გლეხობის მეურნეობა მიყავს განადგურებამდე, არამედ თვით გლეხობასაც მონებად ჰყიდის.

სავაჭრო კაპიტალმა, როგორც ბუმბერაზე პარაზიტმა, შეიპყრო ხმელთაშუა ზღვის მთელი აუზი, რომლის ნაპირებზედაც გაშენდა უძრავი სავაჭრო ქალაქები. ამ ქალაქების გაერთიანებამ სავაჭრო სახელმწიფოები წარმოშვა. ამ ქალაქებში ჩაისახა პირველად ანტიური კულტურა. ანტიური სავაჭრო კაპიტალი მტაცებლობით ვითარ-

1) პელოპონესის ომი ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთის ბატონობისათვის სწარმოებდა ათენის და პელოპონესის ქალაქთა კავშირს შორის.

დებოდა. მისი არსებობა დაკავშირებული იყო ყველა იმ მხარეების გაპარტახებაზე, სადაც კი მას საშუალება ჰქონდა შეჭრილიყო. მან ამოს-წურა მთელი მწარმოებელი ძალა ხმელთაშუა ზღვის აუზის. მის ამო-წურვასთან ისიც უნდა გამქრალიყო. ასეც მოხდებოდა, რომ ახალ ეკონომიურ პირობებთან, რომელიც ხმელთაშუა ზღვის აუზში წამო-იჭრა (აღმოსავლეთის სავაჭრო კაპიტალის შემოჭრის შედეგად), წარ-მოება არ შექმნილიყო, რომელიც დაკავშირებული იყო ვაჭრობას-თან და რომელსაც იგი სამსახურს უწევდა. ეს ახალი წარმოება მო-ნათფლობელური წარმოება იყო.

ანტიური სავაჭრო კაპიტალი ვითარდებოდა მისთვის სრულიად უცხო საწარმოო საფუძველზე. ამ ღრმა წინააღმდეგობამ ანტიურ საზოგადოებისამ თავი იჩინა ახალი წარმოების წარმოშობასთან ერთად.

მართლაც, ძალზე განვითარებულმა საბაზრო ურთიერთობამ დაუინებით მოითხოვა საქონლის მოწოდების სიძლიერე. სავაჭრო კაპიტალმა შექმნა პირობები ერთეულების ხელში დაგროვილიყო დიდძალი მატერიალური სიმდიდრე. მის განკარგულებაში იყო გაპარ-ტიხებულ წვრილ მესაკუთრეთა სიმუშაო ძალა. მაგრამ ეს არ იყო მთავარი რამ — მაღალი ტექნიკა, ტექნიკა, რომელმაც შემდეგ ანა-ლოგიურ პირობებში წარმოშვა კაპიტალისტური წარმოება. ანტიურ ქვეყანას კი მხოლოდ დაშლის გზაზე მყოფ პატრიარქალურ-საგვარე-ულო თემის დაბალი, პრიმიტიული ტექნიკა გააჩნდა. თავისუფალ მუშას ასეთ ტექნიკურ ფონზე არ შეეძლო ზედმეტი ღირებულების შექმნა. მის მიერ შექმნილი პროდუქტი მხოლოდ მის პირად მოთხო-ვნილებას თუ დააკმაყოფილებდა. მაშინადამე, მსხვილ წარმოებას, რომელიც მიჩნეული იყო საქონლის მოსამარაგებლად ბაზრისათვის ანტიურ ტექნიკის პირობებში, შეეძლო შექმნა ზედმეტი ღირებუ-ლება არა ზედმეტის ანგარშე, არამედ იმ აუცილებელ შრომაზე, რომელიც იხარჯებოდა მწარმოებლის მიერ. მას შეეძლო არსებობა და არსებობდა კიდევ მასში მომუშავე ხალხის სიცოცხლის დღითი-დღე შემოკლებით, ამისათვის კი ის უნდა დაყრდნობოდა მონების შრომას.

მხოლოდ ბორკილში და ზედამხედველის როჩგის ქვეშ მყოფი მონები, რომლებიც თავის ბატონის სრულ მფლობელობაში იმყოფე-ბოდენ, თუ მისცემდენ ნებას ასეთ თანდათანობით სიკვდილისას, მისი სარგებლობისათვის. მაგრამ კვლავ წამოჭრილმა მონათფლობელურმა წარმოებამ მხოლოდ შეიერთა, წინააღმდეგობის საშუალება აღარ-მისცა ანტიურ საზოგადოებას. რომ ეს ასეა, ამას ყველაზე უფრო ჟეო დაგვიმტკიცებს კლასთა ბრძოლის განვითარების პროცესი ან-ტიურ ქვეყანაში.

თავი მეორე

ანტიური საზოგადოება გაიყო ორ ძირითად ანტაგონურ კლასად — მონებად და მონათფლობელებად. ასევე გვაქვს ჩვენ წარმო-დგენილი პროცესი კლასთა ბრძოლის განვითარებისა, თითქოს ორ სიბრტყეზე.

ერთი მხრივ ჩვენ უნდა გავარჩიოთ მონების ბრძოლა მათ ექს-პლატატორ მონათფლობელებთან, მეორე მხრივ — ბრძოლა მონათ-ფლობელთა ბანაკში, მონებისაგან წაგლეჭილ მოგებაზე. ეს ორი პროცესი ძალზე განირჩევა ერთი მეორისაგან, დიდი ზღვარია მათ შორის. როგორც ჩვენ შემდეგში დავინახავთ, არც ერთ შემთხვევაში ისინი ერთი მეორეს არ ემთხვევიან.

მონათფლობელთა კლასი არ წარმოადგენდა მთლიან ერთეულს. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ მონათფლობელურ საზოგადოებას შეუძლია იარსებოს მხოლოდ განუწყვეტელ დაპყრობების ხანაში. მოგება მონების სახელოსნოებისა და ლატიფუნდიების, როგორც ზე-მოთ დავინახეთ, შეიქმნა არა ზედმეტი პროდუქტის ანგარიშზე, არა-მედ მონების არაადამიანურ ექსპლატაციის ხარჯზე. მონათფლობე-ლური წარმოება განუწყვეტლივ სპობდა მონებს. არავითარი არსე-ბითი განსხვავება არ ყოფილა პატრიციებსა (რომის არისტოკრატია), რომლებიც თავიანთ ბალის აუზის თევზებს კვებავდენ მონების ხორ-ცით, და იმ პატრიციებს შორის, რომლებიც მონების საშინელ ექს-პლატაციას ეწეოდენ მაღაროებსა და პლანტაციებზე. ასე ამგვარად მონათფლობელური წარმოება რეგულარულ მუშაობისათვის საჭირო-ებდა განუწყვეტელ რიგებს მონებისას. ამისათვის აუცილებელი იყო ახალ-ახალი მხარის დაპყრობა, რომელთა მოსახლეობის დიდი რაო-დენობა მონებად უნდა ქცეულიყოვნ.

ანტიური ქვეყნის ყველა მონათფლობელურ სახელმწიფოს აყ-ვავებისათვის აუცილებელი პირობა იყო საზღვრების განუწყვეტელი გაფართოება. დაპყრობების დასასრული მათი არსებობის დასასრუ-ლი იყო. მაშასადამე, მონათფლობელთა განკარგულებაში მუდამ უნდა ყოფილიყო შეიარაღებული ძალა, რომლის მეოხებითაც ხდე-ბოდა დაპყრობები და იმორჩილებდენ მონებს. მისი როლი სრულიად განსაკუთრებული იყო, იგი მონათფლობელურ სახელმწიფოს განუშო-რებელ ნაწილს წარმოადგენდა.

შეიარაღებული ძალის არსებობის გარეშე შეუძლებელი იყო მონათფლობელური წარმოების არსებობა. ანტიური ქვეყნის სხვადა-სხვა სახელმწიფოებში ეს შეიარაღებული ძალა სხვადასხვა შემადგენლო-ბის იყო. ეს დამოკიდებული იყო ისტორიულ განვითარების თავისე-ბურებაზე. რომის ლეგიონები უმთავრესად წვრილ მიწის მესაკუთ-

რეთაგან შედგებოდა. ათენის ჯარის დიდი ნაწილი ხელოსნებისაგან იყო. კართაგენის ჯარი კი შედგებოდა დაქირავებულ სხვადასხვა, ეროვნების წარმომადგენელთაგან.

ყველა სოციალური ფენები, რომლებიც აწვდიდენ შეიარაღებულ ძალის კადრებს, მიუხედავათ იმისა, იყვენ თუ არა თითონ მონათფლობელნი, შედიოდენ მონათფლობელურ, სახელმწიფოს სისტემაში, და იზიარებდენ დამპყრობელობის და მონათფლობელობის სარგებლიანობას.

სრულიად ბუნებრივია რომ მათ და მსხვილ მონათფლობელებს შორის თავს იჩენდა ბრძოლა მოგების ხედრის მომატებაზე. ერთიც და მეორეც მონების ოფლით ცხოვრობდენ და მათ შორის ბრძოლა წარმოადგენდა ბრძოლას მსხვილსა და წვრილ მტაცებელს შორის ნადავლის გაყოფის დროს. ამ ბრძოლის ფორმა და შედეგი სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვაგვარი იყო. ჩვენ შევჩერდეთ ამგვარი ბრძოლის კლასიკურ მაგალითზე — მსხვილ და წვრილ მიწათფლობელთა შორის ბრძოლაზე ძველ რომში.

ერთ-ერთ საფუძველს რომის სამხედრო ძლიერებისას წარმოადგენდა რომაელ გლეხთა მასა — ლეგიონერები. ესენი იყვენ წვრილი მიწათფლობელნი, რომელთა უმრავლესობაც თავის ცხოვრების უმეტეს ნაწილს სამხედრო სამსახურში ატარებდენ, მათ მცირეოდენ მონაკვეთებს მიწისას მონები ამუშავებდენ, ეს უკანასკნელნიც მათ ძალიან ცოტა ჰყავდათ. ყოველ გამარჯვებულ ომს მათვის მნიშვნელოვანი სარგებლობა მოქონდა. ეს იყო სამხედრო ნადავლის ნაწილი და განსაკუთრებით — ახალი მიწები, რომელიც მათი ასებობის მთავარ წყაროს წარმოადგენდა. ასე იყო, სანამ რომის ომები აპენინის ნახევარკუნძულით განისაზღვრებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი გაშორდენ მის საზღვრებს, სურათი შეიცვალა. მიწის მიღება ისპანიაში ან საღმე ჩრდილო აფრიკაში არ იყო დიდი სახარბიერო ლეგიონერებისათვის. ამას გარდა მათი მასიური გადასახლებაც იტალიიდან სამხედრო თვალსაზრისით მიზანშეწონილი არ იყო. მართალია, ლეგიონერი განაგრძობდა სამხედრო ნადავლის მიღებას, და უფრო მეტსაც იღებდა შედარებით, მაგრამ ოშების დასასრული დიდი მონაპოვრებით არც თუ ხშირი ამბავი იყო, სამხედრო ნადავლი არ შეიძლებოდა რეგულარული შემოსავალი ყოფილიყო, ოქრო კი, რომელსაც ლეგიონერები ლებულობდენ დიდხანს ვერ ძლებდა მათ ხელში.

მიწების შემომატებას წვრილ მიწათფლობელებზე ბოლო მოელო, პირიქით, იტალიაში მსხვილ მონათფლობელურ მეურნეობის განვითარების სახით, რომელიც ბაზარს ამარავებდა, წვრილ მიწათფლობლებს დაუძლეველი მტერი გაუჩნდათ. წვრილი და მსხვილი მიწათფლობელნი

ძეელ რომში მონების კისერზე ცხოვრობდენ, მაგრამ საბაზრო ურთიერთობის განვითარებასთან ერთად უკანასკნელმა შთანთქა პირველი.

მსხვილი მონათფლობელი — პლანტატორი ანადგურებდა წვრილ მიწათფლობელს, რომელიც კონკურენციას უწევდა ბაზარზე; რათა გაეფართოებია თავის საბრძანებელი, ყიდულობდა წვრილ მიწათფლობელისგან მიწის ნაკვეთებს და ზოგჯერ ძალადობასაც აღვილად მიმართავდა.

მე-II საუკუნის დასაწყისიდან ჩვენს ერამდე რომის გლეხობის მატერიალური მდგომარეობა ძალზე გაუარესდა. წვრილი მიწათმფლობელები გაპარტაცენტ, სტოვებენ ან ძალზე იაფად ჰყიდიან მათ კუთვნილ მიწის მონაკვეთებს და მიღიან ქალაქში. მაგრამ ქალაქში ზემოდ აღნიშნულ მიზეზების გამო თავისუფალი შრომა არ შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული. და გაბოგანოებულმა გლეხობამ შექმნა ქალაქში მორალურად და მატერიალურად გადაგვარებული, დამშეული და აფორიაქებული ლუმპენ-პროლეტარიატი. აი, აშ პროცესის ფონზე იფეთქა გამძაფრებულმა კლასთა ბრძოლამ მონათფლობელთა ბანაკში.

წვრილ მონათმფლობელებს არ უნდოდათ უბრძოლველად აელოთ ხელი თავის კეთილდღეობაზე, ამას გარდა ზოგიერთი ნაწილი მსხვილ მიწათფლობელებისა სახელმწიფოს საფრთხის წინ დადგა, რადგანაც სამხედრო ძალა შესუსტდა. აი ეს გაცხარებული მოძრაობა დაემთხვა მეორე საუკუნეს ჩვენს ერამდე და ისტორიაში ცნობილია „გრაკების რეფორმის“ სახელწოდებით.

უნდა ითქვას, რომ გრაკები (ორი ძმა ტიბერიუსი და კაი), წარმომადგენლები იყვენ რომის პატრიციათა წარჩინებული გვარის, რომლებიც სათავეში უდგნენ წვრილ მესაკუთრეთა მოძრაობას; მისი განვითარების უმაღლეს ეტაპზე, ბურუუზიულ ისტორიის მიერ ძალზე გაიდეალებულ იქნენ. მათ ისინი ალიარეს როგორც ხალხოსნები, დემოკრატები და ლარიბათა დამცველნი. მაგრამ როგორც შემდეგში დავინახავთ, თუ გრაკების შესახებ შეიძლება ვილაპარაკოთ როგორც ხალხოსნებზე და დემოკრატებზე, ეს მხოლოდ ამ სიტყვის განსაკუთრებული გაგებით.

ასოცდაცამეტ წელს (ჩვენს ერამდე) გრაკები ტიბერიუსი, იმ დროის ყოფილი სახალხო ტრიბუნი¹⁾ გამოვიდა წინადაღებით, რათა მსხვილ მიწათფლობელებს ჩამორთმეოდათ სახელმწიფო მიწები, რომელიც მათ უკანონოდ ჰქონდათ მითვისებული და გაეყოთ ლატაკ რომაელებს შორის. მსხვილ მიწათფლობელთა დიდი უმრავლესობის

¹⁾ ტრიბუნი ერთ-ერთი საამინისტრო თანამდებობა იყო ძეელ რომში, რომლის ვალდებულებასაც ლარიბი ხალხის დაცვა შეადგენდა წარჩინებულთაგან.

ხანგრძლივი წინააღმდეგობის შემდეგ, სახალხო კრების მიერ იქნა ეს წინადადება მიღებული. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ გრაკების წინადადებას ემხრობოდა ერთი ნაწილი პატრიციებისა, რომელთაც სურდათ რომის ორსუბლივის უზრუნველყოფა სამხედრო ძალიდ. ეს კანონი შევიდა ძალაში, მის ავტორს კი ეს ფაქტი სიცოცხლეთ დაუჯდა. ტრიბუნის¹⁾ შემდეგი არჩევნების დროს იგი მოკლულ იქნა არისტოკრატიის მომხრეების მიერ.

მაგრამ მოძრაობის შეჩერება უკვე აღარ შეიძლებოდა. გაღატაკებულ გლეხობის მასა და ქალაქის ლუმპენ-პროლეტარიატი შეუჩერებლად გრავინავდა. ტიბერიუსის სიკვდილის 9-10 წლის შემდეგ ამ მოძრაობამ განსაკუთრებულ ძლიერებას მიაღწია და ტიბერიუსის უმცროსი ძმა კაი გრაკხი ჩაუდგა სათავეში. ამ ხნის განმავლობაში მოძრაობამ ფეხი მოიკიდა, გაღრმავდა და მიზნებიც, რომელსაც იგი ისახავდა, გაფართოვდენ. კაი გრაკხი და მისი თანამოაზრენი არ კმაყოფილდებოდენ წვრილ მიწათფლობელთა მატერიალური პირობების გაუმჯობესებით, არამედ მათ უნდოდათ პოლიტიკური უპირატესობის მინიჭებაც ღარიბთათვის.

აქამდე მთელი სახელმწიფო ორგანიზაციის ძალაუფლება თითქოს სენატის ხელში იყო, რომელშიდაც მსხვილი მიწათფლობელნი და წარჩინებულნი შედიოდენ. სახალხო კრება მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა და იქაც მდიდრების ხელში იყო გავლენა და უფლება.

გრაკხი ცდილობდა სახალხო კრებისათვის პირველობა მოეპოვებია და გაეძლიერებია მასში მოსახლეობის ღარიბი ფენების გავლენა.

რომის კანონმდებლობაში შევიდა მთელი რიგი ახალი მუხლებისა, რომლებიც მიზნად ღარიბთა პირობების გაუმჯობესებას ისახავდა. მაგალითად, მცირდებოდა სამხედრო სამსახურის ვადა, შემსუბუქებული იქნა სასჯელი საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულისა და სხვ. ჯერ კიდევ ტიბერიუს გრაკხის დროს შემოღებული კანონი მდიდრებზე სახელმწიფო მიწების ჩამორთმევის შესახებ შეუბრალებლად ტარდებოდა ცხოვრებაში. ამას გარდა კაი გრაკხმა შეიტანა ძალზე მნიშვნელოვანი ახალი რამ, რომელიც შემდეგში განმტკიცდა რომის სინამდვილეში — ეს იყო ღარიბ მოსახლეობის-თვის უსასყიდლო პურის ღარიგება.

თუ ჩვენ კარგათ ჩაუკვირდებით გრაკების და მის მომხრეთა მოღვაწეობას, შევნიშნავთ, რომ მათში ასახულია ანტიური საზოგადოების სოციალური სტრუქტურის თავისებურობა.

ჯერ ერთი — გრაკებს, ამ დემოკრატ ხალხოსნებს, ამ ჩაგრულთა დამცველებს ერთი სიტყვაც არ დაუძრავთ მონების შესახებ. ეს

¹⁾ ტრიბუნების გადარჩევა ყოველწლიურად ხდებოდა.

სრულიად გასაგებია: ძველი რომის წვრილი და მსხვილი წარმოებების ხელოსნები და უღარიბესი გლეხობა ერთნაირად აწვა კისერზე მონებს. გარდა ამისა, რამდენად ცალმხრივი დემოკრატები იყვნენ გრაკები ეს შემდეგიდან სჩანს.

სურდა რა თავის მხარეზე გადმოეყვანა პრივილეგიური კლასი, სახელდობრ, მსხვილი ვაჭრები, რომელთა ინტერესები ხშირად არ ემთხვევოდენ მსხვილ მიწათფლობელთა ინტერესებს, კაი გრაკება გაატარა კანონი, რომლის ძალითაც ხარკის აღების უფლება რომა-ელების მიერ დაბყრობილ ქვეყნებში, მიყიდეს რომაელ კაპიტალისტებს, ე. ი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ქვეშევრდომი ხალხი ეძლეოდათ მათ გასაცარცვავათ. რაც შეეხება კანონს უფასო პურის დარიგების შესახებ, ეს აშკარად ნიშნავდა იმას, რომ რომის პროლეტარიატს უნდა ეცხოვრა აშკარა პარაზიტად იმ გადასახადების ხარჯზე, რომელსაც სახელმწიფო ახდევინებდა ქვეშევრდომ ხალხებს.

მარქსი თავის დროზე სწერდა; „ძეგლ რომში კლასთა ბრძოლა იშლება პრივილეგიურ უმცირესობის წრეში, თავისუფალ მდიდრებსა და თავისუფალ დატაკთა შორის, მაშინ, როდესაც მწარმოებელი მასა მონებისა მებრძოლთა პასიურ კვარცხლბეკს წარმოადგენდა“. ეს სრულიად სამართლიანად არის თქმული. ბრძოლა მდიდარ და ღარიბ რომაელებს შორის იყო მსხვილ და წვრილ მტაცებლების ბრძოლა. ამ დასკვნების სისწორეს ამტკიცებს კაი გრაკებისა და მისი მიზნების ბედი. შემოიღო რა უფასოდ პურის დარიგება, მან ამით უფრო დააჩქარა თავისი მიზნების დალუპვა.

მიეცათ რა საშუალება მუქთათ, სახელმწიფოს ხარჯზე ვამოკვების, რომის წვრილმა მესაკუთრეებმა სრულიად დაკარგეს ინტერესი მიწის ხვედრის მიღებისადმი. მართლაც, სულ ერთი იყო მათვის იცხოვრებდენ ისინი თავის მცირერიცხოვან მონების კისერზე თუ სახელმწიფოს ხარჯზე. მიღებული ხვედრის დიდი ნაწილი მიღებისთანავე იყიდებოდა და, რა თქმა უნდა, ხელში უვარდებოდათ კვლავ მსხვილ მესაკუთრეებს. რომის პროლეტარიატი და გაბოგანობის გზაზე დამდგარი გლეხობა წარმოების გარეშე იდგა, მაშასადამე, მათში კლასიური ინტერესი სუსტი იყო. კუჭის საკითხი იდგა პირველ რიგში და მზათ იყვნენ გადასულიყვენ მის მხარეზე, ვისგანაც მეტს მიიღებდენ. ეს ხელსაყრელი პირობები არ გაუშევს ხელიდან პატრიციებმა, რომ თავი გაენთავისუფლებიათ აბეზარ ტრიბუნიდან. როდესაც ერთხელ გრაკება შეიტანა წინადადება, უღარიბეს მოსახლეობიდან შეექმნა საზღვაო კოლონია, სენატმა ამის საპასუხოთ მოითხოვა თორმეტი კოლონიის დაარსება თვით იტალიაში. მაშინ ხალხმა არხეინად შეაბრუნა ზურგი თავის ბელადს და გრაკები ერთ მუჭა თანამოაზრებთან ერთად მოკლული იქნა სენატის მომხრეების მიერ.

პოლიტიკური და ეკონომიკური მეთაურობა კვლავ მსხვილ ში-წისფლობელთა ხელში გადავიდა. შედეგი იყო ის, რომ პროლეტა-რიატის ბრძო განაგრძობდა მოწყალების მიღებას სახელმწიფოდან, და ძველებურად გადადიოდა მის მხარეზე, ვისგანაც მეტს მოელოდა. საბოლოოდ ისინი მონარქიის ერთ-ერთ დასაყრდებ ძალად იქცენ.

როდესაც ჩვენ კლასთა ბრძოლას ვიხილავთ ძველი რომის წვრილ და მსხვილ მიწათფლობელთა შორის, ხაზი უნდა გაუსვათ ამ მოვლენის ერთ ყველაზე უფრო საყურადღებო მომენტს, სახელდობრ: ამ ბრძოლას არ შექონდა და ვერც შეიტანდა ვერავითარ ახალს ანტიური საზოგადოების საწარმოო ურთიერთობაში. როგორც წვრილი, ისე მსხვილი წარმოების ბაზისი მონების შრომა იყო, მაშასადამე, არც ერთი მათგანის გამარჯვებას არ შეიძლებოდა მოეხდინა გავლენა საზოგადოებრივი განვითარების მომავალ ბედზე.

რომში, საღაც მთავარი წარმოება მეურნეობა იყო, მსხვილმა მიწათფლობელებმა გაიმარჯვეს; ათენში, საღაც მთავარ წარმოების დარგს ხელოსნობა წარმოადგენდა, გამარჯვება წვრილ მესაკუთრეთა მხარეზე იყო. მაგრამ დემოკრატიის ბრძანებლობა ათენში არაფრით ჯობდა პატრიციების ბრძანებლობას რომში. ისეთივე თავშეუკავებელი ლტოლვა ახალი ადგილების დაპყრობისადმი, რომელსაც თან ახლდა დაუსრულებელი ომები, ისეთივე დაუზოგავი ექსპლოატაცია დაპყრობილი ხალხის და მოკავშირების, ისეთივე მასა მონების, ისეთივე გამოკვება დაჩაგრული ხალხის ხარჯზე ქალაქის ბრძოსი. ანტიური ქვეყნის სხვა სახელმწიფოებშიდაც, საღაც შეიარაღებულ ძალას დაქირავებულნი წარმოადგენდენ, ასეთსავე სურათს აქვს ადგილი. მაგალითად, კართავენში, რომთან პირველი გაუმართლებელი ბრძოლის შემდეგ, იფეთქა საშინელმა აჯანყებამ დაქირავებულ ჯარში თავის ბატონების წინააღმდეგ. მართალია ხანგრძლივი წინააღმდეგებობის შემდეგ დაქირავებულები მარცხდებოდნენ, მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც დაქირავებულები რჩებოდნენ გამარჯვებულიც. ასეთ ფაქტს ადგილი ქონდა იმავე პერიოდში; ეს იყო სიცილის კუნძულზე ქალაქ მესინაში, საღაც დაქირავებულმა ჯარმა გაიმარჯვა, მაგრამ შედეგად მივიღეთ ის, რომ გუშინდელი მოახლენი გაბატონდენ. მესინის მონებმა მიიღეს ახალი ბატონები ჯარისკაცების სახით, რომლებიც არაფრით არ განსხვავდებოლნენ ძველი ბატონებისაგან.

ასეთი ფაქტები უამრავია ანტიური ქვეყნის ისტორიაში. ასე ამგვარად ბრძოლა მსხვილ მესაკუთრეებსა და არაფრის მქონეს ან ცოტაოდნის მქონე თავისუფალ მოსახლეობის ფენასთან, რა თქმა უნდა, გამარჯვებულს სარგებლიანობას მოუტანდა, მაგრამ საზოგადოებრივი წარმოების წაწევა წინ მას არ შეეძლო, არ შეეძლო მისი აყვანა მაღალ ტექნიკურ დონემდე, და ვერც გზას გაუწაფავდა უფრო მაღალ საზოგადოებრივ ურთიერთობას.

თავი მესამე

მეტად საინტერესო ფურცელს კლასთა ბრძოლისას ანტიურ ქვეყანაში წარმოადგენს ბრძოლა მონათფლობელებსა და მონებს შორის. ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ რა სახით წარმოიშვა და განვითარდა მონათფლობელური წარმოება. მთელი ანტიური კულტურა ბოლოს და ბოლოს მონების ოფლის პროდუქტი იყო. ძნელია დასახელება მონათა საერთო რიცხვის ან მისი შეფარდება თავისუფალ მცხოვრებთა რიცხვთან, ანტიური ქვეყნის უდიდეს აყვავების ეპოქაში. ეს ერთ-ერთი საღავო საკითხთაგანია ამ ეპოქის ისტორიაში. ვთქვათ, ათენისთვის ცალკეული ისტორიკოსების აზრით უნდა ყოფილიყო — ასოც — ასორმოცდაათი ათას თავისუფალ მცხოვრებზე არა ნაკლებ სამასსამოციათასი მონა. ზოგის აზრით ეს რიცხვი გადიდებულია, რომ მათი აზრით მონების რიცხვი არ აღმატებოდა თავისუფალ მოსახლეობის რიცხვს. ასევე საღაოა მონების რაოდენობის გამორკვევა როგორც რომში, ისე ანტიური ქვეყნის ყველა სახელმწიფოებში. დაწვრილებით ამ საკითხზე ჩვენ არ შევჩერდებით. ჩვენთვის საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ანტიურ საზოგადოებათა წარმოების ყველა სახეები მთლიანად იყო აგებული მონების შრომაშე. აქედან იხვეჭდა ძალის ხელოსნური წარმოება, რომელიც წვრილი წარმოება იყო, სახელოსნოში მხოლოდ 3-4-5 მონაა. ძნელად შეხვდებოდით მანუფაქტორებს რამოდენიმე ათეული მონით. დარგი, საღაც ყველაზე მეტად იყო გამოყენებული მონების შრომა, ლატიფუნდიები (პლანტაციები) იყო. იყო მაღაროებიც, საღაც ათასეულ მონებს დაითვლიდით. ფართოდ იყო გამოყენებული აგრეთვე მონების შრომა ნაოსნობაში, განსაკუთრებით სამხედრო ფლოტში, საღაც ხშირად რამოდენიმე ათასეული მონა მუშაობდა.

ძალზე აუტანელი იყო მონების მდგომარეობა. იმისათვის, რომ მონას კვების ხარჯი აენაზლაურებია და მოგებაც დარჩენილიყო, საჭირო იყო მეტი ემუშავა და ნაკლები მოებმარებია. ისეთი დაბალი ტექნიკის დროს, როგორსაც მაშინ ადგილი ჰქონდა, ეს იყო აღამიანის თანდათანობით მკვლელობა.

განსაკუთრებით აუტანელი იყო პლანტაციებზე და მაღაროებში მომუშავე მონების ბედი, საღაც ყველაზე უფრო ძლიერ მონას შეიძლება გაჭირვებით ერთი წელიწადი გაეძლო.

ეს იყო სწორედ იმის მიზეზი, რომ ანტიური ქვეყანა სულ მუდამ საჭიროებდა მონების ახალ კადრებს. მონების შოვნისათვის ყველა სახის ხერხს ხმარობდნენ: მონებად აქცევდნენ ხოლმე სამხედრო ტკიცების დიდ რაოდენობას, ზღვის ყაჩალები იტაცებდნენ სანაპირო ქვეყნების მცხოვრებლებს და აქცევდნენ მათ მონებად; თანამედროვენი

სწუხდენ, რომ რომის ლარიბი მოქალაქენიც კი არ იყვნენ დაზღვეული მონად ქცევისაგან, რადგანაც მსხვილი მონათფლობელნი აიარალებდნენ ბრძოს და სხვის მონების მტაცებლობასთან ერთად, იჭერდენ ყველას, ვინც კი გამოდგებოდა პლანტაციაზე სამუშაოდ, ყრიდენ მათ მონების ყაზარმებში, საიდანაც თავის დაღწევა ძალიან ძნელი იყო. ანტიურ ქვეყანას ქონდა ერთგვარი საერთაშორისო ბაზარი მონების. ასეთი იყო ერთ დროს (მე III-და მე II-საუკუნეში ჩვენს ერამდე) კუნძული დელოსი ეგეოსის ზღვაზე, სადაც იმ დროინდელთა ცნობით, ყოველდღიურად მოყავდათ და ყიდდენ არა ნაკლებ ოციათას მონას. ზემოთ აღნიშნულ საშინელ ექსპლოტაციის პირობებში მონების ყოლა და გაზრდა პლანტაციაზე და მაღაროებში სამუშაოდ უაზრობა იყო, რადგანაც არ შეიძლებოდა დანახახარჯის ანაზღაურება იმ მოკლე დროში, რომელშიდაც მონა ძლებდა სამუშაოზე. ამისათვის ანტიური ქვეყნის წარმოებაში მეტ წილად მოტაცებული და წართმეული მონა იყო ჩაბმული. მართალია, იყო დაწესებულებები, სადაც ზრდიდნენ მონებს, მაგრამ იქ გაზრდილი მონები წარმოებისათვის არ იყო გათვალისწინებული. იქ იზრდებოდნენ დახელოვნებული მზარეულები, მუსიკოსები, მსახიობები და ხელზე მოსამსახურენი. ერთი სიტყვით აქ იზრდებოდნენ მონები, რომლებიც გათვალისწინებული იყო მდიდრულ და ლამაზ სასახლეებში სამუშაოდ, სადაც ცხოვრების შინაარსი და მიზანი იყო, რაც შეიძლება გემოზე ეჭამათ ის ქონება, რომელსაც ისინი მონების სახელოსნოებს და ლატიტუნდიებს აგლეჯდნენ. რა თქმა უნდა ამ მონების ბედი გაცილებით უკეთესი იყო, ვადრე მათი, ვინც წარმოებაში მუშაობდა. რა თქმა უნდა მეტად უფრთხილდებოდნენ დახელოვნებულ მზარეულს, რომელიც ათეული ათასი მანეთი უჯდებოდათ, ვიდრე იაფად ნაყიდ ბარბაროს, ¹⁾ რომელიც გათვალისწინებული იყო წარმოებაში სამუშაოდ. სასახლის მონები გაცილებით უკეთეს პირობებში იყვნენ, ვიდრე ბევრი თავისუფალი მოქალაქე. მაგრამ ასეთი ბედნიერები მხოლოდ ერთეულები იყვნენ იმ ათასეულში, რომლებთა მდგომარეობაც შინაურ პირუტყვის მდგომარეობაზე გაცილებით უარესი იყო.

მონების არააღამიანური ექსპლოტაცია და მათი შეჯგუფება ერთ უზარმაზარ მასათ, რათქმა უნდა, შესანიშნავ ნიადაგს წარმოადგენდა უკმაყოფილებისა და აჯანყებებისათვის, მაშინ როდესაც მონებს დასაკარგავიც არაფერი გააჩნდათ. იმდენად საშინელი იყო მათი მდგომარეობა, რომ უარესის წარმოდგენა და მოლოდინი აღარ შეიძლებოდა. მხოლოთ როჩეს, ბორკილს, მონების ყაზარმას და იარაღს შეეძლო მათი დამორჩილება. რომაელ ავტორთა სასოფლო-სამეურ-

¹⁾ ასე ეძახდნენ ბერძნები და რომაელები ყველა სხვა ქვეყნისას.

ცნო ნაწარმოებებში, დარიგებებთან თუ მეურნეობის ორგანიზაციის შესახებ, იყო აგრეთვე მითითებები მონების შენახვისა და მათგან თავდაცვის შესახებ აჯანყების შემთხვევაში. ადგილი ქონდა, მაგალითად, შემდეგ რჩევებს: რაც შეიძლება მაგრათ ჩაეკეტათ ღამით მონები, მონების ყაზარმებში აეკრძალათ მათვის ჯგუფური შექრებები, ერთად არ მოეხვედრებიათ ერთი ეროვნების მონები და ჩამოეგდოთ შური და მტრობა ეროვნებათა¹⁾ შორის.

მთავარი საშუალება მონების დამორჩილებისა იყო კარგი ორგანიზაცია სამხედრო ძალისა, ამ შემთხვევაში რომაელები ყველაზე დახელოვნებულნი იყვნენ. რომის ლეგიონები თავის ორგანიზაციით და ტაქტიკით ევროპის საშუალო საუკუნეების ჯარზე გაცილებით წინ იდგენ, და არა თუ საშუალო საუკუნეების ჯარი, მე XVIII საუკუნის ჯარსაც მათგან ბევრი რამის სწავლა შეეძლო. მართალია ცეცხლისმსროლელი იარაღი მათ არ გააჩნდათ, მაგრამ მონების შეიარაღებულ ბრძოსთან და მეზობელ ქვეყნების ჯარებთან, რომის ჯარი შედარებით ისეთივე იყო, როგორც წარსული საუკუნის შუა დასავლეთ ევროპის ხალხთა ჯარი აფრიკის მონების ბრძოსთან.

მაგრამ აღარავითარი ზომებით აღარ შეიძლებოდა თავიდან აეცილებიათ სასოწარკვეთილებამდე მისული ხალხის ცდები თავისუფლების მოპოების და მდგომარეობის გაუმჯობესებისა. ანტიური ქვეყნის ისტორია აჭრელებულია მონების აჯანყებებით. რა თქმა უნდა, წვრილ აჯანყებების შესახებ ჩვენამდე არავითარ ცნობებს აღარ მოუღწევია. ჩვენ ვიცით მხოლოდ ის აჯანყებები, რომელთაც ფართო ხასიათი მიიღეს, მისი რიცხვიც საკმაო რაოდენობაა.

ჯერ კიდევ მე VI და მე V საუკუნეში ჩვენს ერამდე, საბერძნეთის სახელმწიფოში, სპარტაში, ხშირი იყო ილოტების²⁾ აჯანყებები, რომლის საშიშროების თავიდან ასაცილებლად სპარტაკელები მასიურად ულეტდენ ყველაზე ურჩებს მათ შორის. არის ცნობები, რომ ფინიკიის მთავარ ქალაქში, ტირში, რომელიც ერთ-ერთ მსხვილ სამრეწველო და სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა იმ დროში (IV საუკ. ჩვენს ერამდე) ადგილი ქონდა მონების დიდ აჯანყებას, რომლის შედებადაც მონებმა თითქმის ქალაუფლბა ჩაიგდეს ხელში. მონების დიდმა რაოდენობამ მიიღო მონაწილეობა ზემოაღნიშნულ კართაგენელ დაქირავებულთა აჯანყებაში. უგვიანეს დროიდან, მე III, II და I საუკუნიდან ჩვენს ერამდე, ჩვენ მოგვეპოვება ცნობები მონების

1) უნდა ითქვას რომ ექსპლოატაციის საქმეში და საერთოდ ექსპლოატაცია-ქმნილთა მართვაში, რომაელები ღირსეულ მასწავლებლად ჩაითვლებიან თანამედროვე ექსპლოატატორებისათვის. კერძოთ მათ მისცეს მშვენიერი მაგალითი ჩაგრულ ხალხთა მართვის „გაყავი და იმეფე“ -ს პრინციპზე.

2) ილოტებათ ცნობილია სპარტაკელების ქვეშვერდომი ტომები, რომელიც საშუალონი იყვნენ მონებსა და ყებში.

აჯანყებისა ათენში და ზოგიერთ მცირეაზის სანაპირო ქალაქებში. ცხადია, ანტიურ ქვეყნის ყველა სახელმწიფოს ეცოლინებოდა თავის ისტორიაში მონების დიდი აღშფოთებანი.

მაგრამ ყველაზე დიდი აჯანყებების არენას რომი წარმოადგენდა, რომელიც ძველი დროის უდიდესი მონათფლობელური სახელმწიფო იყო. მონების აჯანყების ცნობები რომში, აღწევს ჩვენამდე მე III სა-უკუნის ბოლოდან. მონების მღელვარებებს შეუბრალებლად აქრობ-დენ და ტყვეთ წაყვანილ მონაწილეთ თითქმის ყველას სჯიდენ სიკ-ვდილით, უნდა ითქვას რომ ხშირად სიკვდილით დასჯილთა რიც-ხვი რამოდენიმე ათას აღწევდა.

პირველი უზარმაზარი აჯანყება, რომელიც ხანგრძლივ ომად იქცა, მოხდა რომის კუთვნილ კუნძულ სიცილიაზე ჩვენს ერამდე 135 წელს. ეს კუნძული აღნიშნულ დროს, მონათფლობელობის ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა. აქ იყო უზარმაზარი პლანტაცია, რომელიც მთელ იტალიას ამარავებდა საკვები პროდუქტით — კერძოთ პურით. მონების ექსპლოტაციას სიციალიაში ისე ქონდა მოკიდებული ფეხი და ისეთ განვითარებულ მოვლენას წარმოადგენდა, რომ ახლობელ ქვეყნების მსხვილი მონათფლობელები აგზავნიდენ იქ თავის ზედამ-ხედველებს სასწავლებლად.

135 წელს აღშფოთებულ მონების მიერ მოკლული იქნა მსხვილი პლანტაციის მეპატრონე. მკლელები დარწმუნებული იმაში, რომ მათ საშინელი საჯელი მოელოდათ, მთას შეეხიზნენ, სადაც მონათფლო-ბელებთან მებრძოლი შაიკა შექმნეს. აჯანყებულების პირველმა გამარ-ჯვებამ მრავალი მონა შექრიბა მათ გარშემო ახლობელ მიდამოები-დან. როდესაც მათ წინააღმდეგ გაგზავნილი სიცილიის მოადგილის ჯარი დამარცხდა, აჯანყებამ მთელი კუნძული მოიცო. სამი წლის განმავლობაში რომაელები აგზავნიდენ სიცილიაში ელჩებს და საკონ-სულო ჯარებს.¹⁾ დიდი ბრძოლის შემდეგ აჯანყება ჩაქრობილ იქნა, მაგრამ სამი წელიწადი მაინც დასჭირდათ რომ კუნძულზე აღდგენი-ლი ყოფილიყო მონათმფლობელის შეზღუდული ბრძანებლობა.

მაგრამ მშვიდობიანობა ძალზე ხანმოკლე იყო... ოცდაათი წლის შემდეგ და უფრო აღრეც კვლავ იფეთქა ანალოგიურმა ახალმა აჯან-ყებამ. ომის დასაწყისი რომაელების დამარცხებით აღინიშნა, ისევ საჭირო გახდა კონსულის თოთხემტიათასეული ჯარი, კვლავ საჭი-რო იყო რამოდენიმე წელი აჯანყების საბოლოო ჩაქრობისათვის.

I) ელჩებად იყო წოდებული ორი უმაღლესი თანამდებობის პირი, რომლებ-საც ყოველწლიურად ირჩევდენ და რომელთ ხელშიც იყო მთელი აღმასრულებელი ძალა. კონსულები სამხედრო ხელმძღვანელობას განსაკუთრებულ შემთხვევაში კის-რულობდენ, და ეს ფაქტი ორივე კონსულის გაგზავნისა, მოწმობს მდგომარეობის სერიოზულობას.

შაგრამ ყველაზე უფრო ცნობილი აჯანყება, რომელმაც მართლა ფართო ხასიათი მიიღო, მოხდა თვით იტალიაში 75 წელს ჩვენს ერა-მდე, და რომელიც ცნობილი იყო სპარტაკის აჯანყებად. ამ აჯანყებაზე ჩვენ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით და შევეცდებით გამოვარკიოთ კლასთა ბრძოლის რთული სოციალური დინამიკა მო-ნებსა და მონათფლობელებს შორის; ფორმები, რომელიც ამ კლასთა ბრძოლამ მიიღო და ის შესაძლებლობანი, რომელსაც იგი თავის რაობაში იტევდა.

75 წელს ჩვენს ერამდე, კაპუეში, გლადიატორების სკოლიდან რამოდენიმე გლადიატორი¹⁾ გაიქცა. გაქცეულებს მეთაურობდა კელტი კრიგსი და თრაკიელი სპარტაკი²⁾. გაქცეულები ვეზუვის მთაზე მო-თავსდენ, საიდნაც ახდენდენ დაცეშებს მდიდარ რომაელების მახ-ლობელ ვილლებზე. რაზმი თანდათან იზრდებოდა, რომაელები იძუ-ლებული გახდენ მიეღოთ მათ წინააღმდეგ საბრძოლო ზომები. იტალიის მილიციის სამიათასეულმა რაზმმა დაიკავა ჰეზუვის ყველა გამოსავალი.

აჯანყებულები მოექცენ უფსკრულსა და მრავალრიცხოვან მტერს შუა. აუცილებელ დამარცხების წინ იდგენ. მოქნილ წნელისაგან მო-ქსოვეს გრძელი კიბე და ჩაეშვენ უფსკრულში, ისარგებლეს რა ლამის სიბნელით. უეცარი და გამბედავი თავდასხმით მათ გაფანტეს რომაე-ლების რაზმი და დაიკავეს მათი ბანაკი. ამ გამარჯვებამ სპარტაკს დიდძალი იარაღი შესძინა და უფრო მეტი მიმდევართა ახალი რი-ცხვი, და როდესაც მის წინააღმდეგ გაგზავნილ იქნა ძლიერი რაზმი, იგი მათ გაშლილ ველზე შეხვდა და ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ სა-სტიკად დაამარცხა. ამ გამარჯვების შედეგად ინსურგენტების რიცხვმა ორმოც ათასს მიაღწია და იტალიის ერთ-ერთი უმდიდრესი მხარე კომპანია ჩაიგდეს ხელში. აჯანყებისათვის მეტად ხელსაყრელი პირო-ბები იყო: რომაელების მთავარი ძალის ნაწილი ისპანიაში იყო, სა-დაც ისინი აჯანყებას აქრობდენ, ნაწილი კი აწარმოებდა ბრძოლას აზიაში და მაკედონიაში. აღვილობრივი მცველები — იტალიის მი-ლიცია, რომელთანაც აჯანყებულებს უხდებოდათ ბრძოლა, რა თქმა უნდა, ვერ შეედრებოდენ ბრძოლებში გაფოლადებულ რომის ლეგიო-

¹⁾ ერთ-ერთი საყვარელი გასართობი იყო. რომაელ წარჩინებულთათვის გლადიატორების ბრძოლა — შეიარაღებულ მონების შეტაკება ცირკის არენაზე. მათ მოსამზადებლად სპარტაკიალური საგლადიატორო სკოლები არსებობდენ, სადაც ყველა-ზე ძლიერ და გამბედავ სამხედრო ტყვევებს აგზავნიდენ. ყველაზე დიდი საგლადი-ატორო სკოლა რომის დიდ ქალაქში კაპუეში არსებობდა.

²⁾ კელტები — თანამედროვე საფრანგეთის ძველი მოსახლეობის სახელწო-დებაა. თრაკია—ერთ-ერთი მხარეა ბალკანეთის ნახევარყუნძულის.

ნებს. მალე მთელი იტალია და მათ რიცხვში მთელი რიგი დიდი ქა-ლაქებისა დაიკავეს ინსურგენტებმა.

სპარტაკი და მისი მომხრეები შეეცადენ აჯანყებისათვის ორგა-ნიზაციული ხასიათი მიეცათ. აჯანყებულთა ბანაკში შემოლებულ იქნა მკაცრი წესრიგი, რეგულარულად სწარმოებდა სამხედრო მეცადინე-ობა; ხედავდა სპარტაკი ცხენოსანი ჯარის ნაკლოვანებას, სპარტაკმა ჩამოაყალიბა იგი, ამ მიზნისათვის მან ცხენოსნობას მიჩვეული სა-მხრეთ იტალიის მონა-მწყემსები გამოიყენა. ჩაიგდო ხელში ჩრდილო-იტალიის ერთ-ერთი ნავთსადგური, შეეცადა ამ გზით შემოეტანა სპი-ლენდი და იარაღის გამოსაჭედათ შემოილო სახელოსნოები. აღსანი-შნავია ის ფაქტი, რომ სპარტაკმა თავის ბანაკში აკრძალა ოქროს და ვერცხლის ხმარება.

რომაელებმა, რომელნიც თავზარდაცემულნი იყვნ დამარცხე-ბებით, შეშინებულნი მონათა მოძრაობის გაქანებით, გაგზავნეს სპარ-ტაკის წინააღმდეგ ორივე ელჩი თავისი ძლიერი ჯარებით. ამავე დროს სპარტაკმა მოიყვანა წესრიგში თავის ძალები, გაემართა ჩრდილოლთისაკენ, ანთავისუფლებდა ყველგან მონებს და რიცხავდა თავის ჯარის რიგებში. ამგვარად მან გაიარა მთელი იტალია და მიაღწია თვით ჩრდილოეთის საზღვარს.

ჩვენამდე მოღწეული ცნობებით, სპარტაკის გეგმაში შედიოდა თავის გარშემო მთელი იტალიის მონების შემოკრება და ალაპიის გზით მათი გაყვანა რომის რესპუბლიკიდან. სპარტაკს მიზანი თითქმის მიღ-წეული ქონდა, რომ მის ბანაკში უთანხმოებას თავი არ ეჩინა. აჯანყე-ბულთა დიდი ნაწილი ამ გეგმის წინააღმდეგი იყო, მოწინააღმდეგეთა სათავეში მისი უახლოესი თანამშრომელი ედგა.

კრიგს სიბრიუეთ მიაჩნდა ამდენი გამარჯვების შემდეგ მდიდა-რი იტალიის დატოვება. ცხადია, მას წარმოდგენილი ქონდა საბო-ლოო გამარჯვება რომაელებზე, რომელიც მას ბრწყინვალე მომავალს უქადდა. უთანხმოება დასრულდა იმით, რომ კრიგსი თავისი რაზ-მით ჩამოშორდა სპარტაკის მთავარ ძალას. ისტორიკოსებს მოყავთ მთელი რიგი მიზეზები, რომელმაც სპარტაკის და კრიგსის გათიშვა გამოიწვია. ლაპარაკობენ მათ პირად მდგომარეობაზე, ეროვნულ სხვა-დასხვაობაზე, რომელსაც ადგილი ქონდა აჯანყებულთა ბანაკში. სპარტაკი იამოსავლეთის წარმოშობის მონებს მეთაურობდა: თრაკი-ელებს, დალმატებს, ბერძნებს, სირიელებს, მაშინ როდესაც კრიგსის გარშემო კელტები და გერმანელები იყრიდენ თავს.

ჩვენ კი გთიქონდთ, რომ უთანხმოების მიზეზი უფრო ღრმა იყო. იქნებ შემთხვევით, შეუგნებლად ამ უთანხმოებაში გამოსახულე-ბა პოვა შინაგანმა წინააღმდეგობამ, რომელსაც თავის თავში ატა-რებდა მონების ყველა აჯანყებები.

მართლადაც, სად უნდა მიეყვანა აჯანყებას მონები? დაუშვათ ყველაზე უმჯობესი რამ — აჯანყებულმა მონებმა საბოლოოდ გაიძარვეს. შემდეგ რა? მონები ხომ ვერ აიღებდენ ხელში მონათფლობელურ მეურნეობას. ამაშია ძირითადი ეკონომიკური პირობების სხვავობა მონებსა და თანამედროვე პროლეტარიატს შორის.

მონების ლატიფუნდიებს შეუძლია არსებობა მხოლოდ მონების აუცილებელი შრომის ხარჯზე. ამის გარეშე იგი სრულიად კარგავს მნიშვნელობას, რადგან ასეთ პრიმიტიულ ტექნიკის დროს დაკმაყოფილება პირადი მოთხოვნილებისა უშუალო მწარმოებლის (მონა) მიერ, უფრო ინდივიდუალურ მეურნეობას შეუძლია, ვიდრე კოლექტიურს. მაშასადამე, მონების გამარჯვებას ორი შედეგი უნდა ქონებოდა, ან უნდა დაენგრია მონათფლობერური მეურნეობა და დაბრუნებოდა საწარმოო ფორმებს, რომელიც მონათფლობელურ საზოგადოებას უსწრებდა, ეს კი ნიშნავდა ანტიური საზოგადოების მთელი კულტურის განადგურებას, რომელიც მონების აუცილებელ შრომის ხარჯზე არსებობდა, ან და თვითონ გამარჯვებული მონები უნდა გამხდარიყვნენ მონათფლობელნი, ე. ი. მოხდებოდა უბრალო შეცვლა პიროვნებების, საზოგადოებრივი წარმოების ხასიათი და მთელი საზოგადოება იგივე დარჩებოდა.

ყველაფერი ეს მოხდებოდა გამარჯვების შემთხვევაში, ამისათვის კი საჭირო იყო რომის მთელი სამხედრო ძალის შერეება, რაც, რა თქმა უნდა, სათუო ამბავი იყო. აჯანყებულ მონებს შეეძლოთ ცალკეული გამარჯვებები, მაგრამ რომის მთავარ ძალებთან შეტაკების დროს გამარჯვების იმედი არ შეიძლებოდა ქონებოდათ, რადგანაც მათ ისინი ბევრად ჯობნიდენ სამხედრო ცოდნით, ორგანიზაციულობით და ტექნიკით.

ეს ალბათ კარგათ ესმოდა სპარტაკს, რომელიც ახლო იცნობდა რომის სამხედრო ძალას. გამარჯვებებმა ვერ დაასხეს თავბრუ, თავს ვერ მოიტუშებდა რომზე საბოლოო გამარჯვების იმედით. მისი გეგმა რომელიც აჯანყებულების გაყვანას გულისხმობდა რომის რესპუბლიკიდან, იყო ერთადერთი მიზანშეწონილი გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან. მაგრამ გარემოებამ შეუშალა ხელი ამ მიზნის შესრულებაში. რომთან ომმა მოულოდნელი სახე მიიღო.

კრიგსის რაზმი განადგურებული იქნა რომაელების მიერ სამხრეთ იტალიაში, და ორივე ელჩი გაემართა სპარტაკისაკენ. ისინი დარწმუნებული იყვნენ გამარჯვებაში, მხოლოდ ერთი რამ აწუხებდათ, სახელდობრ, აჯანყებულების გაფანტვის მოსალოდნელი შემთხვევა, მაგრამ შეტაკების შედეგი სრულიად მოულოდნელი იყო. ორ თანამიმდევარ ბრძოლაში ორივე ელჩი სასტიკად დამარცხდა, მალე არანაკლები სასტიკი დამარცხება განიცადა ჩრდილო იტალიის რომის.

მოადგილემ. გამარჯვება ბრწყინვალე იყო, აჯანყებულთათვის ხსნილი იყო ყველა გზები, მაგრამ სწორედ ეს გახდა სპარტაკის აჯანყების საბოლოო დამარცხების მიზეზი.

შორსმჭვრეტელ სპარტაკს თავის გამარჯვებები მხოლოდ და მხოლოდ მით უნდოდა გამოეყენებია, რომ დაუბრკოლებლივ მოეყვანა სისრულეში იტალიიდან გასვლის გეგმა. მაგრამ გამარჯვებებისაგან თავბრუდახვეულ მის თანამოძმეულს ამის გაგონებაც არ სურდათ. მათ ბოლომდე უნდოდათ ესარგებლათ თავის გამარჯვებებით მდიდარ იტალიაში. მათი დაუინებით სპარტაკი იძულიებული იყო კვლავ გაევლო მთელი იტალია თავიდან ბოლომდე.

ამასობაში რომმა მოიმაგრა წელი აჯანყებულ მონებთან გადამწყვეტ ბრძოლისათვის. საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანდენ როგორც წარჩინებულთა ბატონობის მოშერენი, ისე გრაქების მიმდევარი—დემოკრატები. შეკრებილ იქნა დიდი სამხედრო ძალა, იარაღისაკენ მოუწოდეს აგრეთვე ვეტერანებს¹). ახალი შეკრებილი სამხედრო ძალის მეთაურობა მარკ-კრასმა ითავა, რომელიც თავის დროის პირველი მდიდართაგანი იყო. ბრძოლა სამხერეთ იტალიაში სწარმოებდა, თუმცა შემდეგ ცვალებადი ხასიათი მიიღო, სპარტაკი იძულებული იყო ეწარმეობია არა თავდასხმა, არამედ თავდაცვა. ზღვის ყაჩალების დახმარებით ის შეეცადა სიცილიაში გადაეყვანა თავისი ძალები, რომ მესამედ უემხედრებია სიცილიელი მონები... მაგრამ მოატყუეს იგი ზღვის ყაჩალებმა. იმათ, აიღეს რა შეპირებული თანხა, რომის სამხედრო ფლოტის შიშით, თუ მოსყიდვის გამო, აღარ გამოცხადდენ რეგიონის ნავთსადგურთან, საღაც სპარტაკმა შეკრიბა თავისი ძალები. ამასობაში კრასმა, რომელიც კვალდაკვალ სდევდა სპარტაკს, უზარმაზარი ჯებირით ჩამოაშორა რეგიონი, ხმელეთს, რომ შიმშილით დაემორჩილებია სპარტაკი. ჯებირი საფრთხეს წარმოადგენდა, მაგრამ აქაც სპარტაკის ჭკუამახვილობამ გასჭრა. ზამთრის ბნელ ღამეში მოახერხა რომის მთელი რიგი სიმაგრეების გავლა და ამგვარად დააღწია თავი ალყას.

ასეთმა მოხერხებულმა ნაბიჯმა პირველ ხანებში სასოწარკვეთილებაში ჩაგდო რომის ჯარის მეთაური და იძულებული გახდა მოეთხოვა ჯარები ისპანიიდან და მაკედონიიდან. ძალების სიჭარბე მაინც რომაელების მხარეზე იყო. ამას გარდა აჯანყებულთა ბანაკში კვლავ თავი იჩინა უთანხმოებამ. კელტების რაზმები კვლავ ჩამოშორდენ მთავარ ძალას და ცალკეული ჯარი შექმნეს. კრასმა, გამარჯვებულ ნაბიჯების შემდეგ, მიიმწყვდია ისინი საფარში და გამძაფრებულ

¹⁾ ვეტერანი — ჯარისკაცია, რომელსაც დაუსრულებია სამხედრო სამსახურის გადა.

ბრძოლის შემდეგ სრულიად ამოქლიტა. სპარტაკი იძულებული იყო უკან დახევა ეწარმოებია. ამას იგი ძალიან მოხერხებულად ბეჭედიდა და თან გზადავზა საგრძნობ ზიანს აყენებდა რომის ჯარს. ერთ-ერთ შეტაკების დროს მან სრულიად გაანადგურა რომაელების ჯარის მოწინავე რიგები. მაგრამ ამ გამარჯვებამ მას ზიანი მეტი მიაყენა, ვიდრე სარგებლობა. გამარჯვებით გატაცებულმა ანჯაყებულებმა, სპარტაკის სურვილის წინააღმდეგ, გადასწყიტეს ეწარმოებიათ რომიელებთან აშეარა ბრძოლა. ბრძოლა როგორც მოსალოდნელი იყო აჯანყებულთა დამარცხებით დასრულდა. თვით სპარტაკი მოქლულ იქნა ბრძოლაში, მასთან ერთად დაეცენ მისი უახლოესი თანამებრძოლი, 6.000 მონა ჯვარზე იქნა გაკრული კაპუიდან რომამდე, მთელი გზის გასწვრივ....

ასე დასრულდა ანტიური ქვეყნის მონათა თავისუფლების მოპოების ყველაზე გრანდიოზული ცდა....

თავი მეოთხე

სპარტაკელთა აჯანყების მაგალითი ნათლად გვიჩვენებს კლასთა ბრძოლის გამოუვალობას ანტიურ ქვეყანაში. მონათფლობელური საზოგადოება ვერ ქმნიდა ახალ კლასს, რომელსაც ქონებოდა უნარი წარმოების ხელში ჩაგდების და მისი წაყვანისა, ტეხნიკის გაუმჯობესების გზით. მონათფლობელური წარმოება არ წარმოადგენდა საწარმოო ძალთა შინაგან განვითარების პროცესს, არამედ იგი თავის რაობაში იტევდა წინააღმდეგობას სავაჭრო კაპიტალის მაღალ ფორმებსა და იმ ქვეყნების საწარმოო განვითარების დაბალ დონეს, რომელსაც იგი ექსპლოატაციას უშვებოდა, ამას კი არ შეეძლო მიეცა საწარმოო განვითარების ახალი ფორმების დასაბამი. ამისათვის კლასთა ბრძოლა ანტიურ ქვეყანაში რკალში იყო მოქცეული. ბრძოლები თავისუფალ მოსახლეობის ფენებს შორის ან კილევ მონებსა და მონათფლობელებს შორის სარგებლობას გამარჯვებულ მხარეს თუ მოუტანდა, თორემ საწარმოო განვითარებას და საწარმოო ურთიერთობას იგი ვერ აიყვანდა ახალ საფეხურზე.

ანტიურმა საზოგადოებამ შექმნა ბრწყინვალე კულტურა, რომელიც ოცებდა შემდეგ თაობას და ახლაც აღტაცებაში მოყავს მასთან ახლო მდგომი ხალხი. გასაოცარია თითქოს, როგორ მიაღწია დაბალ ტექნიკის დროს ანტიურმა არხიტექტურამ, ქანდაკებამ, პოეზიამ და მეცნიერებამ ასეთ მაღალ დონეს? მაგრამ ეს გაუგებარია მხოლოდ პირველი შეხედვით: თუ კაპიტალისტური საზოგადოება, წელში გაწყვეტილი კონკურენციით, იძულებულია მუშათა კლასის ზედმეტი ღირებულებიდან წაგლეჯილი რაოდენობა მიუმატოს ძირი-

თად თანხას წარმოებისას, ასეთ რამეს ჩვენ ევრ დავინახავთ ანტიური ქვეყნის წარმოებაში.

მონათფლობელურ წარმოებაში ძირითად იარაღს მონა წარმოადგენდა. მოგება მისი აუცილებელ დროის ხარჯზე იქმნება. სად მიღის ეს მოგება? რა თქმა უნდა, წარმოებაში ალარ დაბრუნდება, რადგანაც მონები რომლებიც წარმოადგენენ საფუძველს, წარმოებაში ხვდებიან არაეკონომიური გზით. მაშასადამე მისი მხოლოდ მოხმარება შეიძლება. მონათფლობელური საზოგადოების გაბატონებული კლასის ცხოვრუბის ძირითად აზრს შეადგენდა მოხმარება ყველაფერი იმისა, რასაც ქმნიდა მონა. ამაში, მხოლოდ ამაში მდგომარეობდა აზრი იმათი არსებობის, სხვანაირად არც შეიძლებოდა. ამისათვის მოხმარების ხელოვნება ძალზე იყო განვითარებული ანტიურ ქვეყანაში. ყველაფერი ის რასაც ისინი აგლეჯდენ მონებს, ან დაპყრობილ ქვეყნებს, მიღიოდა ლამაზი სასახლეების, საზოგადო აბანოების, თეატრების, ცირკების, ტაძრების აგებაში, არქიტექტორების, პოეტების, ფილოსოფოსების და მეცნიერების შენახვაში.

ანტიური ქვეყანა ბრწყინვალე პარაზიტს წარმოადგენდა, რომელიც ადამიანების სასიცოცხლო ენერგიის და დაბყრობილ ქვეყნების ხარჯზე ცხოვრობდა, რაც უფრო ნათელი, რაც უფრო დიდებული იყო მისი კულტურის ბრწყინვალება, მით უფრო მძიმე იყო გადასახადი დაპყრობილ მხარეებში, მით უფრო მეტი მონების ბრბო ლაფავდა სულს მის წარმოებაში. მაგრამ, იმისათვის რომ ეარსებნა მონათმფლობელურ წარმოებას და მასთან დაკავშირებულ კულტურას, საჭირო იყო მუდმივი ნაკადი მონების ახალი ბრბოებისა და განუწყვეტილი წყარო ძალადობით ხელში ჩაგდებულ სიმღიდეებისა. ყველაფერი ეს კი შესაძლებელი იყო მხოლოდ გამარჯვებული დაპყრობებით. დაპყრობის დასასრული მონათმფლობელურ წარმოების და ანტიური საზოგადოების დასასრული იქნებოდა. ამასთანვე თვით მონათმფლობელური საზოგადოების არსებობა ქმნიდა დაცემის აუცილებლობას.

მართლაც, რაც უფრო მეტი იყვნენ მონები, მით უფრო მეტი ძალა იყო საჭირო მათი დამორჩილებისათვის — და მით უფრო ნაკლები ძალა რჩებოდა მონათმფლობელურ საზოგადოებას ახალი დაპყრობებისათვის. თითქმის ათეული წლის შემდეგ სპარტაკელთა აჯანყების განადგურებიდან, ომების დროს რომაელ სარდლებს უჭირდათ ჯარის ადგილიდან ადგილზე გადაყვანა სამხედრო გეგმის თანახმად ამა თუ იმ რაიონში მონების მღელვარებისა გამო. ამასობაში რომაელებმა¹⁾ თავის დამპყრობელური ბრძოლები ხმელთა-

¹⁾) ანტიური ქვეყანა თავის არსებობის უკანასკნელ საუკუნეებში მთლიანად რომის ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა.

შუა ზღვის საზღვრების გარეშე გადაიტანეს, ამოსწურეს რა ახლო ქვეყნების მთელი გეოგრაფიული შესაძლებლობანი. ბრძოლების წარმოება შორეულ მხარეში უხდებოდათ, სადაც შედარებით მკაცრი ბუნება და მათვის უჩვეულო პირობები იყო. ახალი დაპყრობებისათვის საჭირო ხდებოდა რაც შეიძლება მეტი ძალა, მაშინ როდესაც მონათმფლობელური საზოგადოების შინაგანი წინააღმდეგობისა გამო მის საგარეო ძლიერ დაპყრობებს ბოლო უნდა მოღებოდა. მოელო კიდევ, ამასთანვე ერთად შესწყდა ის მაცოცხლებელი ძალა, რომლითაც ანტიური საზოგადოება არსებობდა.

დაიწყო დაცემა, რა თქმა უნდა არა ერთდროულად ყველგან, ყველაზე ადრე ეს იმპერიის ცენტრალურმა მხარემ ვანიცადა, სადაც სავაჭრო კაბიტალმა და წარმოების მონათმფლობელურმა საშუალებამ დაიწყო არსებობა და სადაც ამისათვის ყველაზე უფრო განადგურებას ჰქონდა ადგილი. საბერძნეთმა, სამხრეთ იტალიამ და სიცილიამ, დიდი ხნით აღრე, ანტიური ქვეყნის საერთო დაცემამდე, განიცადეს დაცარიელება.

ი სურათი საბერძნეთის საპროვინციო ქალაქის, რომელსაც დიონ ხიოსელი გვიხატავს: „თითქმის ორი მესამედი ჩვენი ოლქისა — ამბობს სახალხო კრებაში ერთი მოქალაქე — სიცარიელეს განიცდის, რადგანაც ჩვენ მათზე არ ვთიქრობთ და მცხოვრებლები არიან ძალიან ცოტა. მე თვით მიწების დიდი რაოდენობა მაქვს, არა თუ მთაში, ბარშიაც, და რომ ვინმემ იქისროს მისი დამუშავება, მე არა თუ მუქთად მიცემდი, არამედ ფულსაც სიამოვნებით დაუმატებდი. საჭიროა ნება დავრთოთ მოქალაქეებს საზოგადოებრივ მიწით და საბალახოებით სრულიად უფასოთ საჩვენებლობისა ათი წლით, ხოლო სხვა ქვეყნისას ხუთი წლით, შემდეგ ცოტაოდენ ჭირნახულად.... ეხლა ადგილი ცარიელდება ქალაქის ბჭებთანაც. ზღუდეებს შიგნი ქალაქის მიწების დიდი რაოდენობა ნათესებისათვის და საბალახოთ არის გამოყენებული. გიმნაზია პურის ნათესებათ აქციეს, ასე რომ ჭერაკლეს და სხვა ღმერთთა და გმირთა ქანდაკებები პურში იმაღლებიან. ორატორი, რომელიც ლაპარიკობდა ჩემზე წინ, ყოველ დილით ერეკება ნახირს ბაზრისაკენ და აძოვებს მას საბჭოსა და სახალხო შენობის წინ... ოდესალაც მთელი ეს მხარე ერთ მდიდარ მოქალაქეს ეკუთნოდა, რომელსაც მრავალი ჯოგები ყავდა რქიანი ნახირის და ცხენების, რომელსაც მრავალი საძოვრები და ნაყოფიერი ნათესები ქონდა, ამასთანავე გააჩნდა დიდძალი ქონება. სიმდიდრისათვის ის მეფემ მოაკვლევინა, მისი ჯოგი წარეკეს და მის შემდეგ ეს მიწა გამოუყენებელია“.

ამას ადგილი ქონდა ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ჩვენს ერამდე, როდესაც მთელი იმპერია აყვავების პერიოდში იმყოფებოდა.

თანდათანობით დაექანენ დაცემისაკენ ანტიური ქვეყნის ყველა ოლქები, მონათფლობელური წარმოება, რომელიც მიწების ახალ კადრებს ეელარ ლებულობს, შემცირდა; დაიკარგა საქონლის წყარო, ვაჭრობაც ჩაკვდა. მონათფლობელებს კი თავისთავად ეკარგებათ ინტერესი მონების ექსპლოატაციისა, ვაჭრობის ჩაქრობასთან ერთად. და ეს შეუძლებელიც იყო, რაღან მათ ახალი წყარო მონებისა არ გააჩნიათ. მონათფლობელები თავის მოთხოვნილებასაც ფრთხებს აკვეცს. მონა ლებულობს არსებობისათვის ყოველივე აუცილებელს. მონათფლობელის ხელში მიღის მხოლოდ ზედმეტი რამ. მონები დამოუკიდებელ მეურნედ იქცენ — კოლონებად, როგორც მას უწოდებდენ ძველ რომელი. კოლონები — დამოუკიდებელი მიწადმომქმედნი იყვნენ, ეკავათ მსხვილ მესაკუთრის მიწა, რომლისთვისაც უნდა მიეცათ ლილი და ემუშავათ მის მეურნეობაში. კოლონის მდგომარეობა, რათქმა უნდა, მძიმე იყო, მაგრამ მონის მდგომარეობასთან შედარებაც არ შეიძლებოდა.

თანდათანობით ვაჭრობის დაცემასთან ერთად კოლონების ექსპლოატაციის ფორმებიც რბილდებიან. კოლონებს სცვლის ფეოდალურად დამოუკიდებელი გლეხი. მონათფლობელური წარმოება უთმობს ადგილს ფეოდალურს და მასთან ერთად ქრება ანტიური საზოგადოება თავისი კულტურით, ხელოვნებით, სახელმწიფო წყობით და კლასთა ბრძოლის თავისებური ფორმებით.

ანტიურმა საზოგადოებამ დიდი გაცლენა მოახდინა კაცობრიობის განვითარების მთელ შემდეგ ისტორიაზე. ანტიურ სავაჭრო კაპიტალის მიერ კოლოსალურად წარმოებულმა, იარაღის და წარმოების საშუალებათა კონცენტრაციამ, აგრეთვე წარმოების მონათფლობელურმა საშუალებამ საფუძველი ჩაუყარა ფეოდალიზმის განვითარებას.

როდესაც რომის ლატინუნდებმა ბაზართან კავშირი გასწყვიტა, სადაც მონების მაგივრად კოლონები იყვნენ, მან ფეოდალური მამულის დასრულებული სახე მიიღო. დასავლეთ ევროპაში ფეოდალიზმის არაჩვეულებრივი მსწრაფლი განვითარება არ შეიძლება წარმოვიდგინოთ. ანტიური ქვეყნის კავშირის გარეშე. მთელი რიგი ანტიურ საზოგადო ელემენტებისა, როგორიც იყო ხელოსნობა, ვაჭრობა, რათქმა უნდა, არ გაქრა მონათფლობელურ წარმოებასთან ერთად და როგორც შემაღენები ნაწილი შევიდა ფეოდალიზმის რაობაში, ამ გარემოებამ შემდეგში დააჩქარა ფეოდალიზმის დაცემა და დაუახლოვა იგი კაპიტალისტურ ურთიერთობას. სწორედ ამ მიზეზების გამო იტალიაში და მის მახლობელ საფრანგეთის ნაწილში, სადაც უკვე მე-XI საუკუნეში იყო ფეოდალიზმის გახრმნის ჩანასახი, პირველად იკიდებს. ფეხს კაპიტალისტური წარმოება.

გზადაგზა ზედმეტი არ იქნება ალვნიშნოთ რომ ანტიურ ქვეყნის უშუალო გავლენა კაცობრიობის შემდეგ განვითარებაზე მარტო და-სავლეთ ევროპით არ განისაზღვრებოდა. ეჭვს გარეშეა, რომ არა-ბეთის სავაჭრო კაპიტალის განვითარება, ჯერ კიდევ მეVII და მე-VIII საუკუნეში, რომელმაც მთელ თავის რკალში მოაწყია-უზარმაზარი ტერიტორია გიმალაიდან და უდაბნო გობიდან პირენეა-მდე, უშუალო კავშირში იყო ანტიურ ქვეყანასა და ანტიურ სავაჭ-რო კიბიტალთან.

როგორც თავშივე იყო ნათქვამი, საბჭოთა ქვეყნის მკითხველი სუსტად იცნობს ანტიურ ქვეყანას. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მრავალ თანამედროვე მოვლენებს ანტიურ საზოგადოებაში აქვს ფე-სვი. საკმარისია მიუთითოთ ქრისტიანობაზე და ბურჟუაზიულ სახელ-მწიფოებრივ უფლებებზე. ყველა ვისაც სურვილი აქვს წარმოდგენა. ქონდეს კაცობრიობის განვითარების თანდათანობაზე, მინიმალურად უნდა ერკვეოდეს ანტიურ ქვეყნის ისტორიაში. ეს აუცილებელია მით უფრო, რომ პირველ მაგალითს კლასთა გამწვავებულ ურთიერ-თობისას და კლასთა ბრძოლის გაქანებისას, რომელმაც გამოძახილი პოვა კაცობრიობის განვითარების შემდეგ ისტორიაში, ანტიური ქვე-ყანა იძლევა. ბაბიონი, პირველი სოციალისტი, რომელიც შეეცადა თავის იდეების სინამდვილეში გატარებას, არარებდა გრაქნის სახელს, და პირველი—დასავლეთ გერმანიის დიდი კომინისტური პარტია, გა-დაფიდა რა პროლეტარიატის დიქტატურისათვის აშკარა ბრძოლაზე, სპარტაკის სახელი დაირქვა.

931|939
8 245

